ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #75/გ

ქ. მცხეთა 04 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში `შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ შპს `ნოვი სტილ ჯორჯია~, შემდგომში „მომწოდებელი~ წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ შალამბერიძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. 65 ერთეული საოფისე სკამის შესყიდვა. (ინვოისი თან ერთვის).(ВPV39100000)

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა მოთხოვნიდან 5 დღის განმავლობაში.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა _ 1950 (ერთიათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 `მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;
4.1.1 მიაწოდოს საქონელი ქ. მცხეთაში, ანტიოქიის ქ. N7-ში, ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი~ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ `მომწოდებელი~ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, `შემსყიდველი~ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში `შემსყიდველს~ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 საქონლის შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში `შემსყიდველი~ უფლებამოსილია `მომწოდებელს~ არ აუნაზღაუროს საქონლი ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.4 ასევე „მომწოდებელს" უფლება აქვს განსაზღვრულ ვადებში თანხის გადაუხდელობის შემთვევაში „შემსიდველს" დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსი ოთარ ჩიღოშვილი.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ `მომწოდებელი'' და `შემსყიდველი'' მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

`მომწოდებელი~	„შემსყიდველი~
შპს `ნოვი სტილ ჯორჯია~	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კ: 204546688	ს/კ: 236098824
ა/ა GE30BG0000000247650000	ა/ა: GE24NB0330100200165022
ბანკი: `საქართველოს ბანკი~	ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ BAGAGE22	ბ.კ TRESGE22
მის: ქ. თბილისი, თ. ერისთავის 5ა	მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. 7
დირექტორი	მუნიციპალიტეტის გამგებელი
მ. შალამბერიძე	ზ. აბესაძე